სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87825723906013

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130676038

რეგისტრაციის თარიღი

04.07.2013 წ

ნოტარიუსი: ნინო ხაბულიანი
მისამართი: ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
ტელეფონი: 8790411423. 995577465854

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
Georgia

სანოტარო აქტი
Escritura de Poder

ორი ათას ცამეტი წლის ოთხ ივლისს მე, ნოტარიუსს ნინო ხაბულიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №23, მომმართეს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა **შპს „BCN HISPANIA"-ს** (რეგისტრირებული 2012 წლის 26 ივლისს. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, სამღებროს ქ. №6, საიდენტიფიკაციო კოდი: 404426572. ელექტრონული ფოსტა: bcn.hispania@gmail.com. მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი) **დირექტორმა ხოსე ფერნანდეს გარცესმა** (დაბადებული 19.05.1958 წელს, თავისი განცხადებით მცხოვრები ესპანეთში, პირადი №A3877820100, პასპორტი №BE084508) თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს „BCN HISPANIA"-ს** შესახებ, მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge. განაცხადის ნომერი 626523, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13059805, ამონაწერის მომზადების თარიღი 14/06/2013 11:39:52; და

მის მიერ არჩეულმა თარჯიმანმა **თამარ ბესელიამ** (დაბადებული 12.06.1977 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. სოხუმი, გულიას ქ. №44, თავისი განცხადებით მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მუხიანის მე-2 მ/რ, კორპუსი 4, ბინა 90, პირადი №62001000736).

ხოსე ფერნანდეს გარცესმა თარჯიმნის დახმარებით მთხოვა ქართულ და ესპანურენოვანი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა ქართულ ენაზე, რომელიც ესპანურ ენაზე თარგმნა **ხოსე ფერნანდეს გარცესის მიერ არჩეულმა თარჯიმანმა თამარ ბესელიამ**. მისი პირადობა და თარჯიმნის უფლებამოსილება (დიპლომი 2FN№0004479 გაცემული 12.06.1999 წელს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლური ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ) ჩემთვის ცნობილია და ვადასტურებ, რომ იგი უფლებამოსილია თარგმნოს. მე ნოტარიუსმა თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია ამ პასუხისმგებლობის შესახებ და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მე ნოტარიუსმა **ხოსე ფერნანდეს გარცესს** თარჯიმნის დახმარებით განვუმატრე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს თავისი, როგორც **შპს „BCN HISPANIA"-ს** დირექტორის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც დავადასტურე წინამდებარე მინდობილობა სანოტარო წესით.

მინდობილობა

ორი ათას ცამეტი წლის ოთხ ივლისს მე, **ხოსე ფერნანდეს გარცესმა,** როგორც **შპს „BCN HISPANIA"-ს** დრექტორმა წინამდებარე მინდობილობით **მამუკა ტუსკაძეს** (დაბადებული 16.08.1975 წელს, პირადი № 53001013096) **მივანიჭე** შემდეგი უფლებამოსილება:

1. იყოს ჩემი, როგორც **შპს „BCN HISPANIA"-ს** დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით და დაიცვას საზოგადოების ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობის დროს.
2. მართოს **შპს „BCN HISPANIA"-ს** კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება, საზოგადოების ქონების შესახებ მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი ნებისმიერი ორგანიზაციიდან.
3. იყოს ჩემი, როგორც **შპს „BCN HISPANIA"-ს** დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, იუსტიციის სახლში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო

თამარ ბესელია

ინსპექციაში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებულ ორგანოებში, მიიღოს და/ან წარადგინოს ნებისმიერ სახის დოკუმენტი, ასევე საზოგადოების შესახებ მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ამისათვის წარადგინოს განცხადება, მოაწეროს ხელი სათანადო დოკუმენტებს.

4. დაიცვას საზოგადოების ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობის დროს, ასევე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შეუზღუდავად შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან და რისი უფლებაც საზოგადოების წესდებით მონიჭებული მაქვს მე, როგორც შპს „BCN HISPANIA“-ს დირექტორს.

5. მას უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირებს.

6. მინდობილობა გაცემულია საზოგადოების კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვის (გასხვისების, დატვირთვის) უფლების გარეშე.

7. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

8. მინდობილობა შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად ქართულ და ესპანურ ენებზე, რომელთაგან ოთხი გადაეცემა მარწმუნებელს, ერთი შეინახება სანოტარო ბიუროში და დანართის სახით თან დაერთვება ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „BCN HISPANIA“-ს შესახებ, მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge. განაცხადის ნომერი 626523, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13059805, ამონაწერის მომზადების თარიღი 14/06/2013 11:39:52.

El 4 de julio del 2013, ante mí, la Notaria Doña Nino Khabuliani, en mi oficina ubicada en la c/Kostava № 23, Tiflis, comparecen personas mayores de edad, con capacidad legal para obrar: Director de la S.L. "BCN HISPANIA" (Inscrito el 26 de julio de 2012, domicilio social en c/Samgebro #6 Tiflis, Distrito de Tiflis antiguo, Georgia, NIF 404426572, correo electrónico: bcn.hispania@gmail.com, Inscrito en: Registro Publico) Don **José Fernández Garcés** (nacido en 19.05.1958, según declara con domicilio en España, numero personal # A38778820100, Pasaporte # BE084508), según el extracto de Registro de Personas Jurídicas Empresariales y no Empresariales (no comercial) respecto la S.L. "BCN HISPANIA", preparado por la Agencia Nacional de Registro Publico, imprimido de la pagina web www.reestri.gov.ge, numero de solicitud 626523, N de diario B13059805, fehca de prepracion de extracto 14/06/2013 11:39:52 y la traductora a su eleccion Tamar Beselia, (nacida 12.06.1977, lugar de domicilio c/Gulia 44, Sokhumi, según manifiesta lugar de domicilio actual- Muxiani II, edificio 4, apart.90, Tiflis, numero personal 62001000736, Carne de Identidad #11ID71670).

El compareciente, Don José Fernández Garcés por medio de la traductora me pide redactar el poder en lenguas georgiana y española y su legitimación adecuada. Le identifico por el documento identificativo reseñado. Le juzgo con capacidad legal para este acto.

Después, he redactado el texto del poder en la lengua georgiana, que ha sido traducido al español por la traductora de su elección Tamar Beselia. A quien conozco, posee la calificación (Diploma AA#0004479 expedido por el Instituto Estatal de lenguas y Culturas Occidentales Ilia Chavchavadze de Tiflis el 12.06.1999) adecuada y compruebo que está facultada para traducir. La traductora ha sido advertida por mí, sobre su responsabilidad por la exactitud de la traducción. La traductora afirma conocer su responsabilidad y puede garantizar la exactitud de la traducción. Ha firmado la Escritura de Poder en mi presencia.

Yo, la Notaria, por medio de la traductora he explicado al compareciente Don José Fernández Garcés el contenido del Poder y he hecho las advertencias legales, en especial sobre los resultados jurídicos de la firma del Poder. El compareciente declara expresamente que el Poder expresa exactamente su voluntad como director de la S.L. "BCN HISPANIA", lo firma en mi presencia, despues he procedido a la legitimacion de la escritura.

თამარ ნ.

El 4 de julio de 2013 , yo José Fernández Garcés, en calidad de director de la S.L. "BCN HISPANIA" por medio de la escritura presente confiero a don Mamuka Tuskadze (nacido 16.08.1975, numero personal 53001013096) las facultades sigueintes:

1. Ser mi representante, como director de la S.L."BCN HISPANIA" ante todas las instituciones estateles y no estatales en asuntos relacionados con la Sociedad y defender los intereses de la Sociedad ante terceras personas.
2. Gestionar bienes inmuebles y muebles de la Sociedad, recibir todo tipo de documentos de todo tipo de organizaciones respecto bienes de la Sociedad.
3. Ser mi representante legal, como director de la S.L. "BCN HISPANIA" ante la Sala de Servicios Publicos, la Agencia Nacional de Registro Publico del Ministerio de Justicia de Georgia, la Inspeccion de Servicio de Ingresos del Ministerio de Finanzas de Georgia, el Ayuntamiento de la ciudad Tiflis y otras instuciones adyacentes, recibir y/o presentar cualquier documento, tambien recibir cuqleuir tipo de informacion respecto la Sociedad, con este fin presentar documentacion y firmar documentos pertinentes.
4. Defender los intereses de la Sociedad ante terceras personas, tambien partiendo de los intereses de la sociedad realizar todas las actividades legalmente permitidas sin limitación alguna, relacionadas con el cumplimiento del apoderamiento presente y todas las facultades que me correponden según los estatutos, como al director de de la Sociedad S.L. "BCN HISPANIA"
5. el apoderado no tiene derecho de delegar sus facultades a otras personas.
6. el apoderado no tiene derecho de disponer (enajenar, gravar) los bienes muebles e inmuebles de la Soceidad.
7. El apoderamiento se expide por el plazo indefinido. El Poder está formalizado en tres ejemplares de igual capacidad jurídica en lenguas española y georgiana, 2 ejemplares para el poderdante, uno se guarda en la Notaria, adjuntándole el extracto del Registro de Personas Jurídicas Empresariales y no Empresariales (no comercial) respecto la S.L. "BCN HISPANIA", preparado por la Agencia Nacional de Registro Publico, imprimido de la pagina web www.reestri.gov.ge, numero de solicitud 626523, N de diario B13059805, fecha de prepración del extracto 14/06/2013 11:39:52 .

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 10,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის; დღგ – 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. სულ გადახდილია: 13,80 ლარი (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

Honorarios: 10,00 Gel, segun el articulo 31 de la Disposcion del Gobierno de Georgia #507 de 29.12.2011 sobre "honorarios de las actividades notariales y las cantidades fijadas para el colegio notarial de Georgia, formas de pago y aprobación de las fechas de servicio". IVA 1,80 Gel, Según el artículo 169 del Código Fiscal de Georgia; Arancel de la inscripción de la actividad notarial 2,00 GEL (IVA incluido) según la Disposición indicada de 29.12.2011, articulo 39; En total: 13,80 Gel (trece Gel con ochenta tetri)

José Fernández Garcés

თამარ წულაია



